№ 240
1877

ივერია

№ 240
1903

ნოემბერი 9, კვირა 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ნოემბერი 9, კვირა 1903 წ.

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გაზეთის ფული სრულად არ შემოუტანიათ, დააჩქარონ ფულის შემოტანა.

პირველ ნოემბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჯდება 2 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

თ-დი **კონსტანტინე რომანის ძე ჭავჭავაძე** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ სამშაბათს, 11 ნოემბერს, მის მეუღლის

კნ. ბარბარე ზაქარიას ასულის ჭავჭავაძის

გარდაცვალების წლის თავზე, წირვა და პანაშვიდი იქმნება გარდახდილი ქ. ფოთის ტაძარში განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

თბილისის სამარხი კასის

გამგეობა

აუწყებს თავის წევრთ გარდაცვალებასა ამავე კასის წევრის ნატალია სვიმონის ასულის ედილაშვილისას და სთხოვს **შემოიტანონ** ხვედრი **გარდასახდი თითო მანეთი და ხუთი შაური** გამგეობის წევრ იოსებ მერკვილაძესთან (ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, წიგნის მაღაზია „**ცოდნა**“.

ვისაც სურს ჩაეწეროს წევრად, აქვე მიჰმართოს. (4—3)

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აქვს

და სრულიად ახლად მოაწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა **მუქთად** გადიდებული (ფერადებით) საუცხოოდ **დახატული.**
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებს ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სამსონის ძე მამულაძე.**

პარასკევს, 5 დეკემბერს, 1903 წ. „ტფ. კრუჟოკის“ დარბაზში გაიმართება

საცეკვაო საღამო

საკონცერტო და სალიტერატურო განყოფილებით; მონაწილეობას მიიღებენ არტისტები და მუსიკის მოყვარულები. შემოსავალი გადაიდება **ხელმწიფე იმპერატორის** მფარველობის ქვეშ მყოფის **ზემო-ავჭალის სამიწად-მოქმედო და სახელოსნო კოლონიის** საშუალებათა გასაძლიერებლად.

დარბაზის **დეკორაციები**—ა. ო. ნოვაკისა. **კიოსკები**—ნ. ო. ნოვაკისა და კოლონიის მოწაფეთა. **გამოფენა** მოწაფეთა ნაწარმოებისა.

ანტრაქტებში დაუკრავს კოლონიის მოწაფეთა ორკესტრი. დაწვრილებით ის. აფიშებში.

შესვლის ფასი (საქველმოქ. გადასახადით) 2 მ. 10 კ.; პრემიებს მადლობით მიიღებენ. საკონცერტო განყოფილება დაიწყება $8\frac{1}{2}$ ს., ცეკვა—$10\frac{1}{2}$ საათზე. სამხედრო მუსიკა. გულ-ამოჭრილი კაბა და ფრაკი სავალდებულო არ არის.

საღამოს დიასახლისი **უგ. კნ. თ. დ. გრუზინსკაისა.** გამგე **ა. ს. ფრენკელი.**

ბილეთები იყიდება: კოლონიის საზოგადოების წევრებთან: ა. ს. ფრენკელთან (**გრიბოედ. ქ. 33**), ა. პ. მირონოვიჩთან და მ. დ. მელიქოვთან (სასამართლო პალატა), მ. გ. მუატთან (საოლქო სასამართლო) მომრიგებელ მოსამართლეებთა და ნოტარიუსებთან, ლოტის საკონდიტეროში და **„ტფილისის კრუჟოკში“.** (უ. 4—2)

კირაკოზის მანუფაქტურის საწყობი

სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა

მომავალ სეზონისათვის მიღებულია და ყოველ-დღე მოდის დიდ-ძალი რუსეთისა და საზღვარ გარეთის ნაწარმოები მაღალ-ღირსებისა და მებელების მატერიები, ფარდები, ხალიჩები, საფიანდაზო, ბაზრობა, ზონრები და სხვა.

ხელოვნური ტყავი „Pantasote“ სხვა-და სხვა ფერისა.

ლინოლეუმი

იატაკზე დასაგები, პარკეტის მაგივრად. ლინოლეუმი—ხალიჩა და ფიანდაზი, კლეონკა.

დონნერი და ლეიტცი.

წარმოდგენა № 17. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

კვირას, 9 ნოემბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების
დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება

I

უბედური

დრამა 3 მოქ. თხზ. კანო-ი-მაზახისა. თარგ. ვ. გუნიას მიერ,

II

საუბედურო დებიუტი

ვოდ. 1 მოქმ. გადმ. რუს. ახოსპირელის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, გაბუნია-ცაგარლისა, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელისა. ბ-ნნი: გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: «ქმართა სკოლა», მოლიერისა. შემდეგი ბენეფისი 11 ნოემბერს კ. ყიფიანისა.

რეჟისორი **აკაკი.**

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

კვირას, 9 ნოემბერს 1903 წ.

ორი სპექტაკლი.

დილით წარმოდგენილი იქმნება

რუსალკა

ოპერა 5 მოქ. აპოთეოზით, მუსიკა დარგომიჟსკისა

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: გალცინა, ჩიჟოვა, კალინინა; ბ-ნნი სელიავინი, კლიუზნერი, სანგურსკი, გრინევი.

კაპელმეისტერი როზენბერგი.

დასაწყისი დილის $12\frac{1}{2}$ საათზედ.

საღამოს წარმოადგენენ

მის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის და ჟირარდონის მონაწილეობით

I.

სევილიელი დალაქი

მუსიკა როსინისა.

II

ცეკვა იქმნება ბალეტიდან

„შჩელკუნჩიკ“,

მუსიკა ჩაიკოვსკისა.

III

მესამე მოქმედება ოპერიდგან

ერნანი

მუსიკა ვერდისა.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აბეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

მ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. $7\frac{1}{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $8\frac{1}{2}$—8 ს.

ს. ტ. არ-ვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტფილისი

⁂ როგორც ვიცით, სოხუმის საეპარქიო მთავრობამ დაიწყო ამას წინად შუამდგომლობა უწმიდესის სინოდის წინაშე საქართველოს საექსარხოსოდამ განცალკევების შესახებ. როგორც შევიტყეთ, ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ არ იქნება და სოხუმის ეპარქია ასევ საქართველოს საექსარხოსოში დარჩება.

⁂ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, 1904 წლის იანვრიდგან შეიცვლება წესი ფოსტით ფულის გადაცემისა, გაგზავნის მაგიერ, სხვა დაბა ქალაქებში, სადაც ფოსტის კანტორები არსებობს, და აგრეთვე ნივთების გაგზავნისა იმ პირობით, რომ მიმღებმა გადიხადოს ფასი გაგზავნილ ნივთისა. აქამომდე გადაცემა ფულისა შეიძლებოდა მხოლოდ 200 მანათამდე და ერთს კაცს შეეძლო შეეტანა ერთ დღეს მხოლოდ ხუთჯერ 200—200 მანათი, სულ 1,000 მანათი. 1 იანვრიდგან-კი ფოსტის კანტორები მიიღებენ, როგორც ფულად ისე ნივთად, 500 მანათამდე, ხოლო ფოსტის გარდასახადი ისევ წინანდელი დარჩება. ამას გარდა შეიძლება ერთმა კაცმა ერთისავე ადრესით შეიტანოს დღეში რამდენჯერაც უნდა 500—500 მანათი და, თუ დეპეშით გადაცემა სურს ფულისა ადრესატისათვის, შემტანი მხოლოდ ერთის დეპეშის ფასს გადიხდის,—25 სტყვისას.

⁂ გაზეთ „კავკაზს“ დეპეშით ატყობინებენ ზაქათალიდგან, რომ 6 ნოემბერს დილის 8 საათზე დაუჭრიათ ფანჯრიდგან იქაური ტყის მცველი კლიმენკო. ბოროტება შურის ძიებით ჩაუდენიათო. პოლიცია დამნაშავეთა ღონისძიებას საჩქაროდ შესდგომია.

⁂ იმავე გაზეთს დეპეშით ატყობინებენ ბათომიდგან, რომ ბათომ-არდაგნის გზაზე თოვლი დაუდვია და მიმოსვლა შეწყვეტილა.

⁂ როგორც შევიტყეთ, ამ ორს დღეში საქართველოს საექსარხოსოს საოლქო მეთვალყურე დეკ. ი. ვოსტორგოვი მიდის ქ. ბათომს, სასულიერო მთავრობის მინდობილობით, რათა ადგილობრივ შეკრიბოს ცნობანი სამღვდელო-მთავრო კათედრის ქ. ფოთიდამ ბათომში გადატანის შესახებ. უკეთუ სამღვდელო-მთავრო კათედრა გადატანილ იქმნა ფოთიდამ ბათომს, სამეგრელოს ეყოლება საკუთარი ეპისკოპოსი, ხოლო გურია შეუერთდება იმერეთის ეპარქიას.

⁂ კავკასიის სამხედრო ოლქის ოფიცერთა სეურთიერთო დამხმარებელ ამხანაგობის წლიური კრება იქნება 15 ნოემბერს სხვა-და-სხვა საგნების განსახილველად, მომავალ 1904 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის დასამტკიცებლად და საერევიზიო კომისიის ასარჩევად. თავმჯდომარედ ამ კრებისა მთავარმართებელს დაუნიშნავს კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე გენერალი მაკედონსკი. კრება იქმნება ტფილისის «კრუჟოკის» დარბაზში დილის 11 საათზე.

⁂ როგორც მკითხველებმა იციან, დიდუბეში მცხოვრებ ბოლდანოვმა განუცხადა ქალაქის გამგეობას სურვილი ხიდი გასდოს მდ. მტკვარზე დიდუბისა და საბურთალოს შესაერთებლად. გამგეობამ პირობები მოსთხოვა. ბ-ნმა ბოლდანოვმა 7 ნოემბერს განუცხადა გამგეობას, რომ პირველ 10 წელიწადს შემოსავალი ვერ დაჰფარავს ხარჯს და თანხის სარგებელს; ამის გამო ქალაქი ვერას მიიღებსო, ხოლო შემდეგ შემოსავლის 2% დავუთმობ იმ დრომდე, ვიდრე ქალაქი ხიდს შეისყიდის ჩემგანაო.

⁂ ტფილისის საბებიო ინსტიტუტში ამ ბოლო დროს მრავალი მშობიარე დაწოლილა, ასე რომ თავისუფალი ადგილი სრულიად აღარ არის და ბევრი გაჭირებული მშობიარე უკანვე ბრუნდება.

⁂ ამ დღეებში ჩამოვიდა ტფილისში ახლად დანიშნული მეთვალყურე სამკლესიო სკოლებისა ქართლ-კახეთის ეპარქია-

ში სტ. სოვეტ. ალ. ოდოევი, რომელმაც უკვე გაიცნო ტფილისის საეპარქიო სკოლები. 7 ნოემბერს საღამოს ექვსს საათზე შეჰკრიბა ტფილისის საეკლესიო სკოლების გამგე-მღვდლები და მასწავლებლები და ესაუბრა, როგორ შეიძლება სასკოლო საქმის საუკეთესოდ მოწყობა.

⁂ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნაკი: „ისტორია ქართულის გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემისა“, ზ. ჭიჭინაძისა („კრებულიდგან“; გამობეჭდილი). ფასი წიგნაკისა 20 კაპ.

⁂ გამოვიდა ჟურნალ „მოამბის“ მეცხრე წიგნი (სექდემბერი), ამ შინაარსისა: I გლეხი კაცი, რომანი, თარგმანი ივ. პოლუმორდვინოვისა; II, მსხვერპლი, კომედია, თარგმანი ინ-ანისა; III, ქვათახევის მონასტრის გუჯრები; IV მთავრობის განკარგულება (სომეხ-გრიგორიანთა საეკლესიო ქონების შესახებ) და V უცხოეთის მიმოხილვა.

მცირე შენიშვნა.

(წერილი რედაქციის მიმართ)

მე დიდად ვმადლობ ბ-ნ Plebs-ს ყველა იმ კარგისათვის, რაც ჩემს შესახებ თქვა თავის ფელეტონში, ხოლო არ შემიძლია შემდეგი არ ვუსაყვედურო: როდესაც ის ეხებოდა ბ-ნ სამსონ თოფურიას და იმის მოღვაწეობას, ჩემი ხსენება სრულებით მეტი და უალაგო იყო. როგორც მოღვაწე, როგორც მსახური კეთილის საქმისა, როგორც საქმით განმახორციელებელი გაჭირვებულ ადამიანისადმი სიყვარულისა, ბ-ნი თოფურია არა-ჩვეულებრივი კაცია; არა-ჩვეულებრივია ის თავისი ყოვლად შემძლებელი ენერგიით. არარაობისაგან მან შექმნა ისეთი დიდებული საქმე, რომლის მზგავსსაც არა თუ საქართველოს სხვა კუთხეში, რუსეთის ბევრ საუკეთესო ქალაქებშიც ვერა ნახავთ. მაგრამ უფრო სანაქებო, უფრო სათაყვანებელი და მასთან საოცარი მხარე ბ-ნ თოფურიას მოღვაწეობაში ის არის, რომ დიად საქმეს მან სრულად ანაცვალა მთელი თავისი არსება, მსხვერპლად შეწირა მთელი თავისი ოჯახური ბედნიერება. ამისთანა კაცი, რა ნაკლულევანებაც უნდა ჰქონდეს მას, სათაყვანებელი და სადიდებელია. აი, ამიტომ იყო უალაგო ჩემი ხსენება ბ-ნ თოფურიას გვერდით.

მე ჯერ გამოუცდელი, დახელოვნებას მოკლებული ექიმი ვარ, ყოველ ნაბიჯზე ვცდები, ბევრი რამ გამოურკვეველი მრჩება,—ამისათვის არც ქების ღირსი ვარ, არც იმ ლანძღვა-გინების, რომლითაც ბევრი მამკობს, ზოგი კერძო ოჯახებში და კერძო ალაგას, ზოგი გაზეთში. ადამიანს რომ უსინიდისობა, სიყალბე, აფერისტობა და სხვ. დასწამო, ეს ფრიად ადვილი ხელობაა,—მაგრამ სხვის გულში ხელის ფათური უსაფუძვლოთ, ჭორების მიხედვით—არ არის საკადრისი. მართალია, მე ხალხი მეტანება, მართალია, დიდძალი სნეული მოდის ჩემთან, მაგრამ მოდის იმიტ იმ-კი არა, რომ ჩემში გენიოსს ხედავდეს, ან იმიტომ-კი არა, რომ მე რეკლამებს ვავრცელებდე და აგენტებს ვქირაობდე,—მიზეზი სულ სხვა არის;—აი ეს მიზეზი. ჩემი ავადმყოფები უმეტეს ნაწილად გლეხებისაგან შედგებიან. ისინი დაჩაგრული არიან, როგორც ქონებრივად, ისე მდგომარეობით. ყოველგვარ პროფესიაშია საჭირო სიყვარული და თანაგრძნობა, ხოლო არსად არა მოაქვს იმდენი ნაყოფი ამ ორ დიად გრძნობას, როგორც პედაგოგიაში დ ექიმობაში. თუ ავადმყოფსა და ექიმს შუა სიყვარული და თანაგრძნობა არ არის, ექიმობაც უქმია. რა გზით უნდა შევაყვაროთ ღარიბ გლეხს თავი? პირველი—უნდა დავჯერდეთ იმ მცირე სასყიდელს, რომლის მოცემაც მას შეუძლია და, თუ სულ ვერაფერს ვერ მოგცემს ზევრჯელ, ამისათვის არ უსაყვედუროთ; მეორე—უნდა დაარწმუნოთ ის, რომ ისიც თავის ძონძებში იმგვარივე ადამიანია, როგორიც თქვენ გახამებულ პერანგში და სუფთა ტანსაცმელში. მე ვცდილობდი და ვცდილობ, თავი შევაყვარო იმ ღარიბ ავადმყოფს, რომელიც ჩემთან მოდის; მე ვჯერდები მას, რისი მოცემაც მას შეუძლია; მე ვცდილობ, დავუმტკიცო მას, რომ ჩემთვის უფრო ძვირფასია მისი ჯანმრთელობა, ვიდრე მისი ათი შაური—ან ნაკლები და, როდესაც ის მორიდებითა და მოკრძალებით მეპყრობა, ჩემის მოპყრობით მე ვცდილობ, დავაჯერო ის, რომ მე, როგორც ადამიანი მისი სწორი—მისი ძმა ვარ, რომ მე მისი მწვირიანი ხელები და დახეული ტანისამოსი სრულებით არ მეზიზღება მე იმას არ ვამბობ, რომ სხვა ექიმები ასე არ იქცეოდნენ, მხოლოდ მე ამგვარად ვიქცევი და ვიქცევი ნაძალადევათ და ფარისევლობით-კი არა,—არამედ სრულებით ბუნებრივათ.

მე თვითონ ღარიბი ხალხის წრიდან ვარ გამოსული, სიღარიბის ყველა მწარე მხარე გამომიცდია და ამიტომ სულითა და გულით მიყვარს მე ეს ხალხი, სულით და გულით, სისხლითა და ხორცითა ვარ მე მასთან შეერთებული, მხოლოდ მასთან ვგრძნობ ჩემს თავს თავისუფლად და შესაფერ ბუნებრივ წრეში. თუ მეტანება ხალხი, მხოლოდ ამიტომ; თუ ვუყვარვარ ხალხს, მხოლოდ ამიტომ.

თუ ჩემს შესახებ ბევრ ჭორებსა და ცრუ ხმებს ავრცელებენ ჩემივე პაციენტები, ამის გამო ყველაზე უფრო მე ვწუხვარ,—ხოლო ამ ანეკდოტების მიხედვით, მე მგონი არავის არ უნდა ჰქონდეს უფლება, ან უკედ რომ ვსთქვათ. რიგიანმა ადამიანმა არ უნდა იკადროს, დამწამოს ის, რაც მე ჯერ არ მიკადრებია და არც აწი ვიკადრებ.

ი. გომართელი.

ჩვენებური ამბები

ჭიათურა. 7 ნოემბერს 1903 წელს. სოფელ ჯოყოეთში (შორაპნის მაზრა) სცხოვრობს ერთი აზნაური. აი ამ აზნაურის და მის საზოგადო მოღვაწეობის შესახებ (ასე ეძახის თავის ოინებსა) უნდა ვთქვა ორიოდე სიტყვა. კაი ხანია რაც ამ ვაჟ-ბატონმა დაასრულა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი; ახლა ამ ცოდნა-მეცნიერების პატრონს გადაუწყვეტია სამკურნალო ასპარეზზე გამოსვლა; შეუძენია სიცხის საზომი, გულზე და გვერდებზე საკაკუნებელი კვერი და რამდენიმე სხვა იარაღი, როგორც ნამდვილ ექიმსა. წამლებსაც თვითონვე ამზადებს; ყოველ გვარ ავადმყოფს, იღებს ჰლექით შეპყრობილთაც-კი განკურნებას ჰპირდება. გაჭირვებულ სოფელს თითო ნახვისათვის 5—10 მანეთს ახდევინებს. ამან კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს, მაგრამ ამ ჯანაოზ-ექიმის ჩაგონებით ავადმყოფის პატრონი ნამდვილ ექიმებს გაურბის და თავის ავადმყოფს ძალის-ძალად ჰკლავს უექიმობით,—თუ ჩვენმა ჯანაოზმა ვერა უშველარა, სხვა ექიმს როგორ შეუძლიან მისი განკურნებაო; ტყუილ-უბრალო ხარჯი რაღა-ღა გავწიოთო. ამნაირად ეს ვაჟბატონი ჩაუდგა შუაში ხალხსა დ მეცნიერებას და არავითარ ღონისძიებას არა ჰზოგავს, რომ იგინი ერთმანერთს დააშოროს. ამას, რასაკვირველია, ჩვენი არა მკითხე ექიმი ანგარიშის აზრით სჩადის, მაგრამ თავის გასამართლებლად იმას ამბობს,—თუ ჩემი ექიმობა არა სჭრიდეს, ხალხს რად დავყევარ ავადმყოფებთანაო. მაგრამ ვინ არ უწყის რომ ჩვენის ხალხის გულუბრყვილობის გამო ჯერ-ჯერობით ქადაგებიც-კი მეტოქეობას უწევენ მეცნიერებით აღჭურვილ მკურნალებს. თუ სნეული გაიკურნა, გაიძვერა მკითხავის გამოლოცვის შემდეგ, ცრუმორწმუნე სოფელი მკითხავის სასწაულთ-მოქმედებას მიაწერს ამ განკურნებას, თუ თქვენი ჭირი წაიღო,—ეს იღბლის საქმეა, ღმერთმა ასე ინებაო. ასეთ ხალხში, რასაკვირველია, გასავალი ექნება ყოველგვარ თაღლითობას.

დაწვრილებით რომ გაიგოთ ჯოყოეთელ ჯანაოზის მოქმედება, თუ საჭირო იქნება, შეგვიძლია მისი „პრაქტიკიდან“ რამდენიმე იშვიათი მაგალითიც გამოვააშკარავოთ. დარწმუნებით, რომ ეს ვაჟბატონი მხოლოდ ხალხსა ჰყვლეფს და სამკურნალო მეცნიერებასთან საერთო არა აქვს-რა. ვინ მოსთვლის, რამდენს სნეულს ამ ესკულაპის წამალი საწამლავად გადაექცა. დროა ყურადღება მიექცეს მის მოღვაწეობას, ვისგანაც ჯერ არს და განთავისუფლოს უმწეო სოფლელნი ამ გაიძვერა მატყუარასაგან.

ხრეული.

ქუთაისი. ქალაქის ბაღი, რომელსაც აქაურნი მკვიდრნი ეძახიან «ბულვარს», ერთად-ერთი სასეირნო ადგილი არის. ათიოთხმეტის წლის წინად ქალაქს ჰქონდა კიდევ ორი ბაღი, ერთი შუაგულ ქალაქში და მეორე—ქალაქის განაპირას; პირველს ეძახოდნენ «სამეფო სახლის ბაღს» და მეორეს-კი «ფერმას». პირველი ქალაქმა რამდენისამე წლის წინად მიჰყიდა ხაზინას სასამართლოების შენობის ასაგებად და მეორე-კი მისწირა ქუთაისის სამეურნეო სკოლას. ამ რიგად დაჰრჩა სულის მოსაბრუნებლად ქუთათურებს მხოლოდ ერთად-ერთი „ბულვარი“. ძველ დროში ამ ბაღს სხვანაირად ინახავდნენ და ეხლა-კი სხვანაირად. უწინ ყოველ გაზაფხულზედ ბაღში სასეირნო გზებს ასწორებდნენ, ახალ ქვიშას მიწას მოაყრიდნენ, კარგად დასტკეპნიდნენ და მტვერი ისე ადვილად არ დგებოდა სეირნობის დროს, როგორც ახლა. ახლა-კი სულ სხვა სისტემა არის შემოღებული: ყოველ გაზაფხულზედ ბაღის მაგნით თხრილებს ამოწმენდენ, მტვერს მოაგროვებენ და ამავე მტვერს ჰყრიან სასეირნო გზებზედ და ამ რიგად გზებს ასწორებენ, რომ ოღრო-ჩოღრო არ იქნეს. არც წყლის მორწყმა, არც დატკეპნა შეაქოთუბულ გზებისა თურმე საჭირო არ არის, სეირნობის დროს იმისთანა მტვერი დგება ბაღში, რომ არა თუ ფილტვებით სუსტ ადამიანს, არამედ სრულიად ჯანმთელსაც არ ვურჩევ იქ სეირნობას და მოსვენებას. საზოგადოდ მოსეირნე ხალხი უფრო ეტანება ბულვარის კარეშემო ქვაფენილზედ სეირნობას, ნამეტნავად ზამთრობით. ვისაც-კი ბაღთან გავლა შეხვედრია სადამოზედ, უსათუოდ შეამჩნევდა დიდ მოძრაობას ბულვარის სამხრეთის მხარეს, გიმნაზიის ქუჩისაკენ. ამ მხრით ბაღის ქვაფენილზედ იმდენ მოსეირნეს დაინახავთ, რომ მაშინვე წარმოიდგენთ რომელისამე დიდის ქალაქის პროსპექტს. სამწუხაროდ, ქვაფენილი იმდენად ვიწროა, რომ სამი ადამიანი ერთად ძლივს გაივლის და, თუ შემოხვდა მეორე მხრიდგან მომავალი ერთი ან ორი ადამიანი, ერთმა და ერთმა უსათუოდ უნდა გზა დაუთმოს, თორემ იქვე წვიმის წყლის თხრილში გადავარდება. როდესაც საბჭოში 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დროს ერთმა ხმოსანთაგანმა, თუ არ ვსცდები ი. პ—მა, შეიტანა წინადადება რომ ქალაქის ბაღის გვერდით გაეკეთებიათ დახურული თხრილი და მით გაეფართოვებინა ქვაფენილი, საბჭომ წინადადება მიიღო, მაგრამ თავისუფალი თანხის უქონლობის გამო საქმე დასტოვა გადაუწყვეტლად. შემდეგს წელიწადში, ისევ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, ამ საგანმა თავი იჩინა, საბჭომ გადასწყვიტა და ჩაურთო 1903 წ. ხარჯთაღრიცხვაში რვაასი მანათი. აგერ წელიწადი მიიწურა და საქმე მაინც არ გაკეთებულა. მიზეზი რა არის, ნეტავი? ნუ თუ კიდევ უფულობა, რომლითაც ჩვენ ყოველთვის თავს ვიმართლებთ, ან და შეიძლება სავისუფალი დროის უქონლობა? იქნება გეგმის და მუშაობის ხარჯთ-აღრიცხვის გაკეთება ვერ მოასწრეს, ბევრი საქმის გამო? არა, ბატონო მკითხველო, მე კი მგონია, რომ საქმისადმი და საბჭოს გადაწყვეტილებისადმი უყურადღებობაა მიზეზი. როგორ დავიჯეროთ, რომ ქალაქმა რომელსაც აქვს თავისი საკუთარი ქვის მადანი, ქვა სასესხებლად არა აქვს და კირი და მუშის გასასტუმრებელი ფული ვეღარ მოახერხა. შეიძლება ქალაქის გამგეობამ თავი იმართლოს, ქვა მიწაში არის და ამოღება უნდა, ამას-კი ფული სჭირდებაო. რა თქმა უნდა, რომ ფული უნდა, მაგრამ იმდენი არ დაეხარჯებოდა ქალაქს, რამდენიც ზოგს ჰგონია რომ ყურადღება მიექცია ქალაქის გამგეობას, ერთი კარგი შემთხვევა არ დაჰკარგავდა. მკითხველს მოვახსენებ, რომ წელიწადს ქუთაისის სასაფლაოს ტაძარში დიდი მუშაობა არის. წარმოიდგინეთ, რომ მშვენიერი ქვის იატაკი ჰყარეს და აგებენ მარმარილოს აგურს. ტაძრის იატაკის მშვენიერი გათლილი ქვები იყიდეს კერძო კაცებმა, როგორც მითხრეს, თითქოს თითო არშინი 50—60 კაპ. ასე გასინჯეთ, ასი თუ ორასი ქვა იყიდა აქაურმა ერთმა ებრაელმა ვაჭარმა და გაჰგზავნა ფოთში მაღაზიების წინ ქვაფენილის გასაკეთებლად. ქალაქს-კი რასაოდენ ქვა რომ ეყიდა, ძრიელ იეფად დაუჯდებოდა და კიდევაც [illegible] თხრილის

ფელეტონი

შურდული

(საკვირაო გაზეთი)

XXX

ფელეტონი

„მე იქ არ წავალ“...

მე იქ არ წავალ, სადაცა
მომიწამლავენ ლხენასა,
სად მიკრძალავენ უკვდავსა
სამშობლო დედა-ენასა.

—

მე იქ არ წავალ, სადაცა
ძმა ძმასა ჰყიდის ფულზედა,
დედ-მამაც ტანჯვით მოუკლეს
და ხელს ილებენ რჯულზედა.

—

მე იქ არ წავალ, სადაცა
ძმა ძმასა უწევს მტრობასა,
ასმენენ მტარვალთ წინაშე,
ღუპავენ ღვიძლ ქვეყანასა.

—

მე იქ არ წავალ, სადაცა
ილხენს უქმაძე, ფუფუნებს;
ტანჯული ქვეყნის მშრომელი,
მშიერ-ტიტველი წუწუნებს.

—

მე იქ არ წავალ, სადაცა
არს უსამართლო მფლობელი,
თვით უსამართლოთ მფარველი
მართალთა დამამხობელი.

—

მე იქ არ წავალ, სადაცა
ძალა ხნავს ალმართს კლდიანსა,
სად ავაზაკნი შეყრილან,
თავში ურტყამენ ჭკვიანსა.

—

მე იქ არ წავალ, სადაცა
უკულმა ვისმენ ლოცვასა,
ვხედავ ცბიერთა ღალადსა,
უწმინდურთ მუხლზედ ცოცვასა!..

—

თუ წავალ ერთხელ, იქ წავალ,
საცა წასულან გმირები...
და იქ კი არა, მგელს საცა
ემონებიან ვირები!!.

ან. განჯის-კარელი.

—

„აახ, ვააახ!“

VI

(შემდეგი *)

კინკიბაძეს მეტის მეტად გაუჭირდა უცხო ენაზე სწავლა. ბავშვი მეცადინეობდა და რაკი თავში ვერაფერი „შესდიოდა“, წიგნს გვერდზე მიაგდებდა და ქუჩისკენ მოჰკურცხლავდა ხოლმე; მაგრამ თუ მამა გარედ მოასწრობდა, ვაი თქვენს მტერს. რაც ბავშვს დღე დაადგებოდა (განსაკუთრებით მაშინ, როცა მამა მისი ღვინით გამობრუჟული მოვიდოდა), მოსდგებოდა და იმდენს უქაპუნებდა, ვიდრე მე და შენ გავაშველებდით.

— მე ოხერი ფულები არა მაქვს, რომ მუქთად გადავყარო. „ესლი სკოლიდან გამოგაგდეს, პომერ · ბუდიშ, როგორც ვირი, კაკ ასოლ!.. მამა!.. მე ტებე გავარიმ: ისწავლე, თორემ ჩორნა დენ ბუდით შენთვის. (რადგანაც მშობლებმა რუსის ოჯახში ვერ დააყენეს ბავშვი, ამიტომ თითონ ავარჯიშებდნენ რუსულში).

მეტი რა გზა ჰქონდა კინკიბაძეს, უნდა ესწავლა, თუმცა-კი ჭირივით ეჯავრებოდა: წიგნები, მასწავლებელი და მშობლებიც-კი, რომელთაც ასეთ სატანჯველში ჩააგდეს იგი. საბრალო პატარა მოუჯდებოდა წიგნებს, «ჰკბილავდა» გაკვეთილებს, თუმცა-კი არაფერი ესმოდა.

ამას გარდა, პატარა კინკიბაძე მოვალე იყო ყოველ დილა-საღამოთი უეჭველად რუსულად ელოცნა და ისე შესდგომოდა საქმეს, ან დაწოლილიყო. კინკიბაძის დედას სწამდა, რომ უცხო ენაზე ლოცვას უფრო შეისმენდა მამა ზეციერი და ამიტომ ყოველ საღამოობით, ცხრა საათზე, პატარა კინკიბაძე სახლის ერთ კუთხეში მიმდგარი ბოდავდა გაზეპირებულ უცხო სიტყვებს, მარჯვენა ხელს ისე აიქნევ-ჩამოიქნევდა შუბლისა და მუცლისაკენ, თითქო ჩანგურს უკრავსო; ბოლოს სამჯერ დაემხობოდა პირქვე, მაგრამ თუ დედა შენიშნავდა, რომ რიგიანად არ მოიყარა მუხლი, მივარდებოდა და შუბლს იატაკზე დაახლევინებდა ხოლმე: ღმერთს მაინც ეხვეწე, თავში ტვინი ჩაგიდოსო.

VII

ეჰ, დროთა ბრუნვას მაინც თავისი შესძლებია, ღვთისა წინაშე, კინკიბაძეც თანდა-თან შეეჩვია გაკვეთილებს: სკოლიდამ დაბრუნდებოდა თუ არა, მაშინვე გაკვეთილებს ჩაუჯდებოდა და მოჰყვებოდა:

...„Пахарь отдыхаетъ,
Тишина кругомъ“!..

და ამ სიტყვებს თითქმის სამი საათი გაიძახოდა.

— შვილო, რა არის „პახარ ადიხაიტ?“ ჰკითხავდა დედა.

— რა ვიცი, რა არის! „უჩიტელმა“ მოგვცა ზეპირად ისწავლეთო; აი აქა სწერია,—ეტყოდა ხოლმე პატარა კინკიბაძე და უჩვენებდა წიგნის იმ გვერდს, საცა ეს ლექსი ეწერა.

— „დიხაით“-კი „სიკვდილია“ და მეორე რაღა ჯანაბაა, „ჩორთ იამუ ზნაით“,—წამოიძახებდა მამა.

ამ საზეპიროს შემდეგ ანგარიშის გაკვეთილს იწყებდა:

— „ადინ რაზა ადინ—ადინ; დვა რაზა დვა—ჩეთირ; დვა რაზა ჩეთირ—ვოსიმ“...

აქ-კი მამა ჩაერეოდა და თავისებურის რუსულით ჰკითხავდა.

— აბა, ტიპერ მენე სკაჟი, სკოლკა ბუდით ჩეთირა და ჩეთირა? არ იცი განა? ახტი გადახტი... კაჭკაჭი!.. აბა თუ ბიჭი ხარ და გამოიცნობ.,. იამუ ნიჩივო ნიზნაით! - გაეხუმრებოდა მამა შვილსა და თან ცოლს გადახედავდა—შეხე, მეც ვიცი რამეო.

— ქაა, ეგ „ჩეთირა“ რაღა ოხრობაა?—იკითხავდა დედა. მაგრამ ამაზე ვერც ერთი ვერ უგებდა პასუხს, რადგან არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, რა ხილი იყო: «ჩეთირა», «დვა რაზა დვა» და სხ.

VIII

კმაყოფილი მშობლები ყოველ შემოდგომობით მასწავლებელს ხილსა და ჭაშნიკს მიართმევდნენ ხოლმე. მასწავლებელიც, «ხელი ხელსა ჰბანსო», ამ ანდაზისა არ იყოს, მათ შვილს ყურადღებით ეპყრობოდა, რის გამოც ყოველ წლივ გადაჰყავდა კლასიდან კლასში. ღირსიც იყო, მედა ჩემმა ალლაჰმა! კინკიბაძემ „ყველაფერი კარგად“ იცოდა, ხოლო დასაწუნარი იმაში ის იყო, რომ რასაც რუსულად გაიძახოდა, ქართულად ვერ გაეთვალისწინებინა. რომელიმე უცხო გმირის მოღვაწეობას სიტყვა-სიტყვით მოგიყვებოდათ, ანუ ბუნების მეტყველებიდან რაიმეს „მოგითხრობდათ“ ზეპირად, მაგალითად: ლორს რამდენი ფეხი აქვს, ვირს რამდენი ყური, მაიმუნი რომელს ქვეყანაში სცხოვრობს,—ხოლო მისი შეგნება-კი არა ჰქონდა. ამიტომაც, უმეტეს შემთხვევაში, ეგზამენის მეორე დღეს წინა დღის გაკვეთილი არც-კი ახსოვდა.

IX

დედა ხშირად ჰკითხავდა:

— შვილო, რა იქნება, რომ ეგ შენი რუსულად „ნასწავლობა“ ქართულად მეც გამაგებინო. მაგ დახატულ წიგნში რა სწერია?

— ეჰ, მოდი და ახლა გაუნათლებელ დედაკაცს ელაპარაკე,—იტყოდა ხოლმე უკმაყოფილოდ კინკიბაძე:—აქ ისეთი რამეები სწერია, რომ ქართულად ვერ ითქმის.

— რატომ შვილო, რატომ, გენაცვალოს დედა მაგ განათლებულს შუბლში?!

— რატომ, რატომ? რატომ და იმიტომ, რომ ქართული ენა ღარიბია, იმიტომ რომ ქართულად არაფერი ყოფილა, როგორც „უჩიტელმა“ გვითხრა. აბა, აი აქ დახატულია „ჩელოვეჩესკი სკელეტი“.

— შვილო, ეგ „სკელეტი“ რა არის?

— სკელეტი—სკელეტია! აი მე ეხლა სკელეტი ვარ...

— ადამიანო, თავი დაანებე, შენმა თავის მზემ თუ გითხრა, მაშინვე არ გაიგო, წაიბუზღუნებდა ხოლმე ქმარი ამისთანა ლაპარაკის დროს.

(დასასრული იქნება)

—

მტარვალი.

არ მეშინიან, მტარვალო,
შენი უმართლო რისხვისა;
ქედს არ მოგიხრი, იცოდე,
რომ ძლიერი ხარ მისთვისა.

—

მე არ მაშინებს ეგ შენი
ხან მოკლე ძალ-მომრეობა;
ვის შერჩენია, შენ შერჩეს
სულ მუდამ მძლეთა მძლეობა?

—

გამომიჩნდება მეც მოძმე,
ბრძოლაში გვერდით მდგომელი,
უსამართლობის დამცემი,
სიმართლის აღმადგენელი!!.

—

მაშინ-კი შენს თვალთმაქცობას
გამოეთვლება დღენია,
სიმართლე მოგთხოვს მის პასუხს,
რაც დღემდე ჩაგიდენია!

ი. მარტვილელი.

—

ბედის უმადური

ვაგონში სიცხის ბული იდგა. დაქანცული მგზავრები უშნოდ ამთქნარებდნენ. ვაგონის ერთის კუთხიდან გაკაპასებული ქალის წიწინი ისმოდა; ეტყობოდა, ძალიან გულდამწვარი იყო რაღაცაზე.

ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა; სკამს იქით გადავიხედე. ოცდა ათ წელს მიხწეულს გამხდარ-გაყვითლებულს გასათხოვარ ქალს თავისი თანამგზავრი კუთ-

---

1) იხ. „შურდული“ № VXXIX-ი, „ივ.“ № 234.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახურავად, თუ ძვირად უჯდება თვისის მადნიდან მოტანა და გაწმენდა ქვისა.

ეხლა აქვს ქალაქს კიდევ მეორე შემთხვევა და შეიძლება ეხლა მაინც ისარგებლოს. ქალაქმა დაანგრია პოლიციის ეგრედ წოდებული, „კალანჩა“ და დიდ ძალი მასალა მოგროვდა. «კალანჩას» ხელახლავ აღარ აშენებენ და შეიძლება დარჩენილი მასალა კერძო კაცს მიჰყიდონ. მე მგონია, რომ ეს მასალა სრულიად საკმარისი იქნება თხრილის გვერდების კედლების ასაშენებლად და ზევიდან დასახურავი ქვა-კი უნდა მოიტანონ ეგლარის მადნიდან, თუ «კალანჩის» ქვები არ გამოადგებათ. თუ გამგეობა ქალაქისა არ გადადებს საბჭოს დადგენილების სისრულეში მოყვანას, დარწმუნებული ვარ, რვაასი მანათის მაგიერ, ოთხასიც ეყოფათ, თორემ, როგორც წელს ვერ გააკეთეს, ვერც გაისათ გააკეთებენ.—დასასრულ კიდევ განვიმეორებ, რომ მარტო საბჭოს გადაწყვეტილებას რა მნიშვნელობა აქვს, თუ სისრულეში მოყვანას გამგეობა არ ეცდება.

ქ.—მე.

რუსეთი

იანვარში, მიწად-მოქმედებასა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის თაოსნობით, უნდა იყოს ცალკე ბჭობა სამეურნეო სასწავლებელში აღზრდის საქმის უკეთ მოწყობისათვის. ბჭობას დაესწრებიან აგრეთვე წარმომადგენელნი სასოფლო-სამეურნეო სკოლებისა და სხვა მცოდნე კაცნიცა.

— დღესთვის, სახელდობრ 9 ნოემბრისთვის დანიშნული იყო პეტერბურგში კრება ცეცხლისაგან დამზღვევის საქალაქო საზოგადოებათა წარმომადგენლებისა საერთო კავშირის დასაარსებლად. უნდათ ამასთანავე სთხოვონ მთავრობას, რომ კავშირს მიეცეს სესხად თავის საქმეების მოსაწყობად ნახევარ მილიონი მანათი.

— პეტერბურგსა, მოსკოვსა, კიევსა და ნიჟნი-ნოვგოროდში უნდათ ვაჭრობისა და ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელთ შუამდგომლობა დაიწყონ მთავრობის წინაშე, რომ საკომერციო სასწავლებლები ისევ ფინანსთა სამინისტროს უწყებაში დარჩეს და არ გადავიდეს საერო განათლების სამინისტროს ხელში.

— ამ დღეებში დასრულდა ოდესაში კრება ხერსონის ეპარქიის მისიონერთა. მისიონერნი ებრძვიან იქ სხვა-და-სხვა მწვალებელთა მოძღვრებას, უმეტესად-კი ეგრედ-წოდებულ შტუნდას.

— ახალი სააფთიაქო წესდება, რომლის ძალითაც ერობას და ქალაქს ნება უნდა მიეცეთ აფთიაქების დაარსებისა და წამლების გასყიდვისა, ამ თვეში წარედგინება განსახილველად სახელმწიფო საბჭოს.

— 14 ნოემბერს აპირობენ პატივი სცენ პეტერბურგში ცნობილს მწერალსა და ბელეტრისტს ვ. კოროლენკოს. ამბობენ, რომ კოროლენკოს რამდენსამე ძვირფას საჩუქარსაც უმზადებენო.

— 4 ნოემბრიდან პროფ. ი. რ. თარხნიშვილმა დაიწყო პეტერბურგში მეორე სერიის ლექციების კითხვა ფიზიოლოგიურისა და ჰიგიენურის შინაარსისა.

— ხერსონის მთავარ ეპისკოპოსმა იუსტინმა შესწირა ოდესის ღარიბთა სასარგებლოდ 1000 მან. 50 წლის სამსახურის შესრულების გამო.

უცხოეთი

კოლუმბია. კოლუმბიის რესპუბლიკა მეტად არეულ მდგომარეობაში ჩავარდა. როდესაც შეერთებულ შტატების მთავრობამ განიზრახა პანამის ყელზე არხის გაყვანა, დიდძალი ფული შეაძლია კოლუმბიის მთავრობას და ამასთანავე აღთქმასაც სდებდა, არხი ნეიტრალი იქნება, ყველას სრული უფლება ექნება ისარგებლოს იმ არხითაო.—მაგრამ კოლუმბიის წარმომადგენელნი ათას მიზეზს იგვევდნენ ხელზედ და საქმეს აჭიანურებდნენ, რომ უფრო მეტი სასყიდელი აეღოთ. შეერთებულ შტატების მთავრობა იძულებული შეიქნა სხვა ღონისძიებისათვის მიემართნა, რადგან კოლუმბიის გაზვიადებული მოთხოვნილებანი ვერ დააკმაყოფილა. ახლა ისე მოახერხა შტატების მთავრობამ, რომ სწორედ ის ნაწილი კოლუმბიის რესპუბლიკისა, რომელზედაც არხი უნდა გაიჭრას,—პანამის ყელი,—სრულიად გამოეყო კოლუმბიას და ცალკე რესპუბლიკად აღიარა თავი. რომ შეერთებულ შტატების იმედი არ ჰქონოდა, პანამა ამას ვერ გაჰბედავდა, კოლუმბიის შიშით, მაგრამ ახლა ქომაგად თვით შეერთებული შტატები ჰყავს და კოლუმბიას რაღა შეუშინდება. არხის შესახებ მოლაპარაკება მხოლოდ ამ ახალ რესპუბლიკასა და შეერთებულ შტატებს შორისაა; კოლუმბიას აღარც-კი ეკითხებიან რამეს. ამის გამო კოლუმბიის მცხოვრებნი დიდად გაცხარებულნი არიან და, რასაკვირველია, ყველაფერში მთავრობას სდებენ ბრალსა.—მთავრობის უხეირობით აღურიცხველი ხარალი მიეცა ჩვენს რესპუბლიკასაო: არც იმ დიდ სასყიდელს მოვკიდეთ ხელი, რომელიც შტატებმა შემოგვაძლია და პანამის მთელი რესპუბლიკაც წაგვერთვაო. ხალხი ისე დრტვინავს კოლუმბიის პრემიერ მაროკკენის წინააღმდეგ, რომ დღე-დღეზედ მოელიან აჯანყებას და ამიტომ კოლუმბიის დედა ქალაქ ბოგოტაში სამხედრო წესები შემოიღეს. მანიფესტაციები მთავრობის წინააღმდეგ მაინც ხშირად ხდება. მანიფესტაციების წინააღმდეგ თითქმის ყოველთვის იარაღს მიჰმართვენ ხოლმე და ამის გამო დაჭრილთა და დაშავებულთა რიცხვი თანდათან მატულობს.

— ამერიკელ სენატოროს განს, პრეზიდენტ რუზველტთან ბჭობის შემდეგ, ლაპარაკი ჰქონია გაზეთების წარმომადგენლებთანა და განუცხადებია,—პანამის ოკეანთა შუა არხის შესახებ საჭიროც აღარაა ახალ კანონ-პროექტის შედგენა და ახლო მომავალშივე დავიწყებთ არხის გაჭრას პანამის ახალ რესპუბლიკის ნებართვითაო.

ოსმალეთი. სტამბოლიდგან იუწყებიან,—ის ხმები, ვითომც ოსმალნი მკვიდრნი მეტად აღელვებულნი იყვნენ რუსეთ-ავსტრიის მიერ წარდგენილ რეფორმათა პროექტის გამო, სრულიად უსაფუძვლოაო. თუ სადმე აქა-იქ ემჩნევათ აღელვება ოსმალთ, მხოლოდ კერძო აგიტატორთა წყალობითაო.

— სტამბოლის კარზე მყოფ სერბიის წარმომადგენელს ხრისტიჩს მიუმართავს პორტასათვის,—ხალ-ბაზარისა და პლევლის სანჯაყში მეტად უდიერად ეპყრობიან ოსმალნი მკვიდრ სერბთა და რამე ღონისძიება იხმარეთ, ბოლო მოუღოთ ოსმალთა რაზმების ძალადობასაო. ოსმალეთის მთავრობას თავის გასამართლებლად ისა აქვს, რომ რაზმები მეამბოხეთა ჯგუფებს დასდევენ და მცხოვრებთა სახლებსაც სჩხრეკენ, იქნება სადმე ან მეჯგუფენი იმალებოდნენ, ან იარაღი ჰქონდეთ დამალულიო. მაგრამ ამგვარი თავის მართლება, მეტი რომ არა ვსთქვათ, ახირებულია: ძველ სერბიის ჩრდილოეთად მეჯგუფეთ გზადაც არ გაუვლიათ. ამ კუთხეში სარევოლიუციო მოძრაობა აზრადაც-კი არავის მოსვლია.

წერილი
რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის «ივერიის» საშუალებით მცირე შენიშვნისათვის სამაგიერო პასუხი ვუძღვნა ბ-ნ გოდაბრელიძეს, რომელმაც მოათავსა წერილი «ივერიის» 230-ში დ. სახხერიდან საქალებო სასწავლებლის შესახებ. შინაარსი მისი წერილისა სიმართლეს მოკლებულია. მე დიდად მაკვირვებს ავტორის მსჯავრი: „სახხერის სკოლის მასწავლებელმა ქნ. ეკატერინა ნიჟარაძემ ჩემი შვიდი წლის ქალი თულია ერთი თვის შკოლაში ყოფნის შემდეგ სასწავლებლიდგან დაითხოვა და მიზეზად შემდეგი დაასახელა: ბავშვი უნიჭოა და მასთან ცელქიაო“. თუმცა ბავშვი ძლიერ ცელქი აღმოჩნდა და ბ-ნ გოდაბრელიძესაც ვსთხოვე პირადად, ქნ. თამარ წერეთლის თანდასწრებით, რომ ბავშვი რამე საშუალებით დაეწყნარებია, რადგან ძლიერ შევიწროვებულნი იყვნენ დანარჩენი მოსწავლენი, მაგრამ ამისთვის ბავშვს არ დავითხოვდი და არც დამითხოვია.

ბ-ნ გოდაბრელიძის გულის მოსვლა მაშინ გავიგე, როდესაც მისი წერილი მომივიდა შემდეგის შინაარსისა: «მე გთხოვთ ჩემი ორ მანეთ ნახევარი მიბოძოთ და მეტრიკის ამოწერილობაც. მე ამ წერილის პასუხად მივწერე, თქვენ მიერ მოთხოვნილი ფული ხაზინაში წარვადგინე სხვა ბავშვების ფულთან, და ვთხოვე, რომ ბავშვს განეგრძო სწავლა. ეს თხოვნა უყურადღებოდ დასტოვა და გაზეთის ფურცლებს მიმართა. ჩემის სიმართლის აღსადგენად ვასახელებ აქაურ სამინისტრო სკოლის მასწავლებელს ბ-ნ ყარამან ჩხეიძეს და თვით ბატონ გოდაბრელიძის რძალს—ქ-ნ მარიამ გოდაბრელიძისას, რომ მისი ბავშვი არ დამითხოვია სკოლიდან. ამასთანავე გაახლებთ მის წერილს*) და ამ მოკლე პასუხით ვსპობ მასთან ამ საგანზე ყოველსავე საუბარს.

სახხერის საქალებო სკოლის მასწავლებელი ე. ნიჟარაძე.

შემოწირულება

ჩვენ მოგვივიდა რაჭიდან ბ-ნ მიხეილ კბილაძის მიერ შეგროვილი 10 მან. შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგებად.

შემოსწირეს თითო მანათი:

ვახტანგ მესხმა, იასებ მესხმა, სვიმონ ნიჟარაძემ, ნიკიფორე ჩხეიძემ, მიხეილ ყუფარაძემ, ილია ფოთხაძემ, მიხეილ კბილაძემ, ილია კბილაძემ, სარიდონ კბილაძემ, გედევან კბილაძემ.

„ივერიის“ ფოსტა

თ—მს. ზნელოს. თქვენი ლექსები „შემოდგომა“ და „ზოგიერთა ღილინი“ არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 ნოემბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე მემკვიდრე 6 ნოემბერს საღამოთი წაბრძანდა სკერნევიცას.

რიგა. სელიესა და ბელლოს ფისტონისა და პატრონების ფაბრიკაში საშინელი აფეთქება მოხდა. ერთი შენობა, სადაც თოფის წამალს ამზადებდნენ ხოლმე, სრულებით დაინგრა. ერთი კაცია მოკლული.

სტამბოლი. რადგანაც პორტა აგვიანებს პასუხს რეფორმების შესახებ, საელჩოები ამზადებენ ახალს საშუალებას.

მასკატი. ინგლისის სამხედრო გემ „არგონავთზე“ გაიმართა დიდი ბანკეტი, რომელზედაც, სულთანის მინდობილებით, მეფის მოადგილეს მიართვეს სალამი და ერთგულება გამოუცხადეს. პასუხად კერზონმა სთქვა,—სანამ ოსმალეთის მმართველნი თავისს მოქმედებას შეუფერებენ ხელშეკრულობათა და თავისს ქვეყანას ჰმართავენ განათლებისა და სიმართლის გზით, ისინი ყოველთვის ისარგებლებენ დიდ ბრიტანიის მთავრობის მხარის დაჭერითაო. მეფის მოადგილემ ჩააბარა სულთანს, ინდოეთის იმპერატორის ბრძანებით, წარჩინების ნიშნები ინდოეთის პირველ ხარისხის ორდენისა.

ვარშავა. ხელმწიფე-მემკვიდრემ ინება სკერნევიცას წაბრძანება.

ვენა. საბერძნეთის მეფემ ინახულა რუსეთისა და გერმანიის ელჩები.

ოქსფორდი. უნივერსიტეტის მთავრობამ დაადგინა,—უბოძოს იტალიის მეფეს საპატიო დიპლომი სამოქალაქო უფლებათა დოქტორისა.

ვინძორი. პიტონი ესაუბრა ლანსდოუნს. საუბარმა რამდენსამე საათს გასტანა. საღამოთი პიტონი ედუარდ მეფემაც მიიღო სადარბაზოდ.

7 ნოემბერი

პეტერბურგი *). ხელმწიფე-იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორის ასულის ბიულეტენი: «მის უდიდებულესობის მარჯვენა ყურის ანთება სცხრება, ტემპერატურა საღამოთი—37,4, დილით – 37,2. მაჯა—75».

8 ნოემბერი.

სტამბოლი. დუტლ-უდლა, შეიდი მაჰმუდისა, ხონთქარის განსვენებულის ძიძისა,

ხეში მიეგდო, თითონ გვერდს მისჯდომოდა და ქაქანებდა. თანამგზავრი თავს ძლივს იმაგრებდა და უაზროთ შეჰყურებდა მოქაქანეს.

— ტყუილია? მითხარით, ტყუილია? აბა ერთი დამისახელეთ, ვინაა იმიერ საქართველოში ღირს შესანიშნავი ადამიანი! გადაჩხრიკეთ მთლად ქუთაისი, იპოვნით იქ კაცს?! არა და არა! .. იქნებ გგონიათ, რომ ყმაწვილები აკეთებდნენ რასმეს?! არ შეგჭამოთ მიწამ. ჩემს ხსოვნაში მეთხუთმეტე რიგობა ჩამოვიდა რუსეთიდან, მაგრამ რა? რა შეჰმატეს იმათ? რა გააკეთეს? არაფერი! იშოვნეს თბილ-თბილი ადგილები, მონახეს ლამაზი საცოლეები და გათავდა მათი გმირობა!!. იმათი ცოლები პრანჭვა-გრეხის და ჩაცმა-დახურვის მეტზე არაფერზე ფიქრობენ. რის ჭკუა! რის სწავლა! ეხლა ამას არა აქვს გასავალი. ქალის ჭკუას და სწავლას რომ ფასი ჰქონდეს, განა ისინი უნდა დათხოვილიყვნენ, ვინც წელს დათხოვდნენ?! ტუტრუცანა, კოხტა, ტარამანა ლამაზებმა-კი იშოვნეს ბინა, ქმარი და ჭკვიანი და დარბაისელი ქალები სხედან და ბედს ელიან. ჩვენებურ ყმაწვილებს თავში-კი არა, თვალებში აქვთ ჭკუა. მე არ მეხარბება, ღმერთმა დამიფაროს! მაგრამ გული მტკივა, რომ ჩვენი ყმაწვილები ასეთი ფუქსავატები არიან: არავითარი მისწრაფება, არავითარი ინტერესი საერთო საქმისადმი!.. მთელს ქუთაისს ობი აქვს მოკიდებული. გული გასკდა, ქვა მივაგდე ქუთაისს; ახლა ტფილისს მივდივარ სამუდამოდ, ვწუხვარ, რომ აქამდისინ არ მომივიდა ეს აზრი, მაგრამ არც ეხლაა გვიან. ჩავალ, დავიწყებ საზოგადო მოღვაწეობას; იქ ყმაწვილები უგულონი არ არიან, დაფასება და ცნობა იციან ადამიანისა, ქუთაისში-კი...

ზარი დარეკეს. მატარებელი ტფილისის სადგურზე გაჩერდა.

ქალის თანამგზავრი სიჩქარით ვაგონის კარებს ეცა...

— ოჰ, ღმერთო ჭორესისაგან დამიხსენ! პირჯვრის წერით წარმოსთქვა მან, როცა თავი დააღწია ყბედს მოსაუბრესა.

ჩხაკია.

ჩვენებური ამბები.

ქუთაისი. გვეშველა ქუთათურებს! გაკეთდა „ვოდოპროვოდი“: დალოცა ღმერთმა, იმდენი იწვიმა, რომ ინჟინერ მ—ვან გაკეთებული აუზი არქიელის გორაზე აივსო წყლით.

ამბობენ, ქუთათურებს არქიელის გორიდამ თავისთავად დაურიგდება წყალი, ასე რომ მილები საჭირო აღარ იქნებაო. თუ სიცხეებს დაიჭერს, ფოთიდამ მოსული მომღერალი არტისტები კონცერტის მართვას დაიწყებენო. კარგია, მიწყენილი ქუთაისი გამხიარულდება. მაგრამ ვერც ფოთელი მომღერლები უშველიან სიბინძურის მოსპობას. აუზიდამ მაინც სიმყრალე დაურიგდება ქუთათურებს. დიდება თქვენს მამოპას ქუთათურო „გოროდოვოი პოლოჟენიეს“ მაქებო!

როგორც ამბობენ, ქუთაისის თეატრი ელექტრონით იქნება წელს განათებული. მაშინ მაინც დაინახონ თეატრის გამგეებმა, რომ სამი მესამედი საზოგადოებისა უბილეთოდ შედის თეატრში... ელექტრონი!.. ჰმ!.. ქუთაისის თეატრი და ელექტრონი!! მიკვირს... ვაი თუ, „ვოდოპროვოდის“ ბედი ეწვიოს ამ ელექტრონს!!

„გასართობის“ პატრონს მაჭრის გაყიდვის ნება აუღია. აბა, უყურეთ მაშინ აქ ერთმანეთის თავ-პირის მტვრევას. როგორც ამბობენ, აქ პირველად კრება დაინიშნება „შურდულის“ წინააღმდეგ. მონაწილეობას მიიღებენ აქაური ბულვარის მტკეპნელი ახლად გამოჩეკილი ჩერქეზოსანნი.

„შურდული“-ს ნატყორცნმა ქვამ იმოქმედა აქაურ „პრუწია“ ყმაწვილებზე და ხელებზე კოცნის მაგიერ, ფეხებზე დაიწყეს კოცნა.

ამბობენ, ოცდა ოთხ ფურცელზე იწერება „დანოსი“ „შურდული“-ს წინააღმდეგაო. მარკების ფული თვით „შურდულის“ რედაქტორს ია ერაძეს უნდა გადაახდევინონ. ერთმა ბანკირმა შუა ბაზარში დაიყვირა: „დანოსები“ ქუთათურების მოგონილია და ნუ თუ „შურდულის“ რედაქციას ვერ დავამხობთო?

იმე!?

ჭიათურა. აქ ზოგიერთებმა გადასწყვიტეს, „ივერია“ აღარ წაიკითხონ. ეს სულ „შურდულის“ ბრალი ყოფილა, როგორც გამოირკვა, რადგანაც აქაურ საშურდულე გმირებსაც მოხვდით ცოტაოდნად შურდულის ყუმბარა. ასე თუ ისე, ჩვენ მაინც ვურჩევთ „შურდულის“ რედაქციას, გულს ნუ გაიტეხს:

თუმცა-კი ბევრი მტერი ჰყავს,
ხარბი და ენა მახვილი,
ძაღლივით კიდრენს ის, ვისაც
ჯიურს ბოროტება ამხილო,
მაგრამ გამაგრდი, ნუ შიშობ!
მტერთან მოყვარეც ბევრია:
სცდის და რა ვერას გახდება,
კუდს აძუებს მელია!..

ა. წიფერჩელი

ჩოხატაური (გურია). ბევრისაგან ბევრი ახალი ამბები გვაქვს სათქმელი, მაგრამ დღემდე სხვა-და-სხვა მიზეზების გამო არას ვამბობდით. აი აქაური რამე-რუმე: ძრიელ გახშირებულია ამ დალოცვილ დაბაში ცრუ ფიცი.

ამაღამ თქვენ ათი კაცი რომ მოჰკლათ, ხვალ სამ აბაზათ მრავალ ცრუ მოფიცარს იშოვით, რომლებიც შუბლ ჩამორეცხილნი ფიცულობენ, რომ თქვენ წუხელის მათთან იყავით გათენებამდის და ფეხიც არ მოგიცვლიათ.

— „ცოლ-შვილი ნუ მომიკვდება, ათ შაურად მიღირს ამის არშინიო“, ფიცავს ყორანი მარიკო, ან ცხვირ ზიდა გიორგი შაურიან ჩითზედ.

— «ასეთი სწორი სასწორი მთელ რუსეთის იმპერიაში არ არისო»—დასძენს იცეკვე-ფეხო ივანე.

ასეთ სასწორზედ აბრეშუმის პარკის ყიდვის დროს ფუთში ოთხი გირვანქა აკლდებოდა სხვა სასწორთან შედარებით იცეკვე-ფეხოს სასარგებლოდ, მაგრამ მასაც დაუდგა მარხვა,—დაუბეჭდეს სასწორი და ეხლა ბუზებს სთვლის.

ტელეგრაფის ერთი ბოძი დასვეს ჩოხატაურში, მაგრამ რადგანაც დაბალი დარჩენილა, მუშაობა ერთი წლით შეუჩერებიათ და დალაქს ეძებენ, იქნებ მან ამოიღოს გახითაო..

გვეღირსა საქალებო სკოლა, მაგრამ ეჰ, მაგაზე შემდეგ ვილაპარაკოთ, ეხლა არა მცალიან ეს წერილი ფოსტას უნდა მიუსწრო, თორემ ჯინიანი... არ მიიღებს, ან და გამეპარება სამწყეროდ.

შურდულისტი.

ნარევ-ნაკვეს-გასართობი.
გმირის სიმღერა.

ვერ შემაშინებს ქარ-ბუქი,
სიმაღლით გამეფებული,
ცა წაგრაგნილი, მქუხარე,
ჩემ სამტროდ გაფითრებული.
ვერ შემაყენებს ზღვის ტალღა,
აგორებული მთასავით,
სამშობლოს დავენაცვლები—
შიგ გავცურდები ნავსავით.
არ მივენდობი ღვიძლ ძმასაც,—
ისიც გველივით ჭრელია:
დღეს შემომცინებს და ხვალ-კი
მხეცივით სისხლის მსმელია!..
არ დავდებ ფარ-ხმალს ბრძოლისას,
გავსალ-ვკლავდები გულითა:
სისხლის ცრემლებსა დავანთხევ
სამშობლოს სიყვარულითა.
დეე, ლაჩრებმა ატარონ
დიაცთა წესით მანდილი,
იუდის კერძიც დამრჩოდეს,
ოქრო და ვერცხლით ავსილი,
მე ჩემ სამშობლოს ფრთებ ქვეშა
მახვილს გავულესს მტრულადა,
ვებრძოლვი, სანამდის გული
ძგერას არ შესწყვეტს სრულადა.

რებუსი.

ჩემს მოტრფიალეს
(ვუძღვნი ს—ას)

ძალი წამერთვა, დავსუსტდი,
ვერ შევასრულე ვალია;
ტკბილი იმედიც გამიქრა...
სატრფოვ, ეგ შენი ბრალია!..

ბრძოლისა ველზე მხედარმა
ვერ გავიკვლიე კვალია,
უკან დავბრუნდი ლაჩარი...
სატრფოვ, ეგ შენი ბრალია!

თოფი ავიღე სასროლად,
აღარ აფეთქდა ფალია,—
ცრემლებს წამალი დაელბო...
სატრფოვ, ეგ შენი ბრალია!

წინად სიტკბოთი აღსავსეს
დღეს მაქვს ცხოვრება მწარია,
რომ მეგობარიც ჯაშუშობს...
სატრფოვ, ეგ შენი ბრალია!

ყველა მიყვარდა გრძნობითა—
ნათესავ-მეზობელია;
დღეს-კი ისინიც შემძულდა...
სატრფოვ, ეგ შენი ბრალია!

ჩემ გულს ატკბობდა ტყე-ველი
და მთის ანკარა წყალია,
მაგრამ დღეს სხვაფრივ მოქმედებს...
სატრფოვ, ეგ შენი ბრალია!

წინად რომ იყვნენ ერთგული
ამხანაგ-მეგობარია,

---

*) პატარა ნაგლეჯ ქაღალდზე ყარანდაშით სწერია ზემოდ მოყვანილი სიტყვები.

რედ.

*) დაგვიანებულია.

მივიდა სხვა ტანისამოს-ჩაცმული და დაპატიმრებულ იქმნა, რადგანაც მონაწილეობას იღებდა ახალგაზდა ოსმალთა პროპაგანდაში.

მინისტრებს ბჭობა ჰქონდათ, და განახილეს სახელმწიფოთა ქაღალდი რეფორმების შესახებ. ოსმალები ამტკიცებდენ, რომ სარეფორმო ნოტის პასუხი გვიანდება ხონთქარის უქეიფობის გამოთ.

პარიჟი. დელკასემ აუწყა ამერიკის ელჩს, რომ საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა სცნას პანამა ახალ რესპუბლიკადო.

ბერლინი. როგორც ისმის, შობის შემდეგ იმპერატორი ვილჰელმი კარგა ხანს დაჰყოფს სამხრეთად.

ბერლინი. დილის ხუთ საათზედ გამოცხადდა არჩევნების შედეგი: 431 დეპუტატის. არჩეულ იქმნა 146 კონსერვატორი, 54 თავისუფალ-კონსერვატულის დასის., 97 ცენტრის წარმომადგენელი, 79 ნაციონალ-ლიბერალი, 23 თავისუფალი მოაზრე სახალხო დასისა, 8 თავისუფალ-მოაზრე კავშირისა, 13 პოლონელი, 2 დანელი, 2 რეფორმატთა დასისა, 2 სოფლის მეურნეთა კავშირისა და 5 ისეთი, რომელნიც არც ერთს დასს არ ეკუთვნიან.

პეტერბურგის ბირჟა

7 ნოემბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93.80
ბერლინში 100 მარკაში . . .	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,, ...	37,62$^1/_2$
ბირჟის დისკონტი.	5—6$^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა . . .	99$^1/_2$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ. . . .	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95$^1/_8$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	459$^1/_2$ წ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	348 გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . .	295 წვრ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$^1/_2$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4$^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	92$^3/_8$ გაყ.
6% ქუთ. საად მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

დღეს ლალატობას ლამობენ...
სატრფოვ, ეგ შენი ბრალია!

—

ფარისევლურად მომხიბლე,
მომიკალ გული, სულია,
და დღეს დავრწმუნდი, ვიხილე,
ტურფავ, ეგ შენი ბრალია!..

—

ეშხით, სიმდიდრით ავსილსა
დაგბნელებია თვალია;
მოძმე სტირს, მტერი-კი ხარობს...
მითხარ: ეს ვისი ბრალია?!.

დ. ელპიტისშვილი.

—

დ ე პ ე შ ა

(„მურდულის“ დეპეშათა სააგენტო.)

8 ნოემბერი.

ქუთაისი. მაჭარი ბევრი გვაქვს. ძალიანაც მოქმედებს წლევანდელი მაჭარი: ისედაც ჰკუა-მწყრალი ჩოხოსან—კაპარჭოსანნი სულ გადირივნენ. ქუჩაში საშიშია გავლა, სულ ხანჯლობანას თამაშობენ ჩაბრუჟული ჩოხოსანნი.

ოზურგეთი. „ჩვენმა ლოლოვამ“ პროექტი წარადგინა პაერში რკინის გზის გასამართავად. დიდი სენსაცია მოახდინა ოზურგეთში ამ იმბავმა.

გორი. ოქონის ქუჩაზე ტალახში ორი კაცი დაიხრჩო და ერთი კამეჩი.

—

განცხადება

ვსთხოვთ ყველა სცენის მოყვარულთ, დაესწრონ ხონის თეატრის გარდაცვალების მესამე თვესა. ამ დღეს გადიხდიან მცირე პანაშვიდს. შემდეგ მოჰყვება გამოტირილი და ქელეხი. ქელეხში სამგლოვიარო ჰიმნს ბაყაყთა ორკესტრი დაუკრავს.

სათეატრო კომისიის მონდობილობით
კენტი

—

რედაქტორ-გამომცემელი ია ერაძე.

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობები.

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაოით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს— ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

—

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებიაქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ფლგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დასმარებისათვის, უნდა შეატყობინოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

—

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

—

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ

მის იმპერატორ. უდიდებ. კარის ვაჭარი,



Pasta Eugènie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრეთვე სიახლეს და სილამაზეს აძლევს სახეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-**Eugènie** თეთრი, ვარდის ფერიდა რაშელი, მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-**Eugénie** (წყალივით არის) და აძლევს ღაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Flizir-Mélange წყალივით საზმარი თმის ასაზრდელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. სნაზს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძიძიბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი (თმის საცხებელი პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

სალებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკის ფერი, მატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო ფერს და არც ჯიგრის ფერს. ფასი 3 მ.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის რის-გუტმანი) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათს მსწრაფლ ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რის-გუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, ძირიან-ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. საათფ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ საათფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст“.-იდან, № 233 1901 წ. (40—39)


Духи, мыло и цвѣточный о-де-колонъ
Т-ва А. Ралле и К°
Парфюмерія
„Шампака“

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ № 63.

შოთა რუსთაველის
ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და თითო ცალი ღირს ერთი მან.

ჩ ა ი

ამხანაგობა ჩაის ვაჭრობისა
ვ. ვისოცკი და კო.
მ ო ს კ ო ვ ს.

ტფილისის განყოფილება
მეიდანი, რკინეულობის ბაზარი, ტელეფონი № 432.

Торговый знакъ утвержденъ Правительствомъ

მირის თანხა 6.000.000 მანეთი.

წლიური ალებ-მიცემობა 20.000.000 მანეთზედ მეტი.

ჩაის მაღალის თვისების წყალობით და მეტადრე ძლიერის სურნელებისა, ნაზის გემოვნებისა და მუქის ფერის გამო, ჩვენმა ფირმამ დაიჭირა პირველი ადგილი ევროპაში წვრილად გაყიდულ ჩაის რაოდენობით.

ჩვენს ქარხნებში, რომელიც მოსკოვსა და ოდესაშია, სადაც იწონება ჩაი და იხვევა პარკებად, მუშაობს 1,500 კაცზედ მეტი.

ჩვენი ჩაი იყიდება რუსეთის იმპერიისა და საზღვარ - გარეთის ყველა საუკეთესო მაღაზიაში.

ჩვენის ფირმის ჩაის ყიდვის დროს ვსთხოვთ ბ-ნთ მყიდველთ მიაქციონ ყურადღება სწორედ ჩვენი სავაჭრო მარკა—**ხომალდია**,—მთავრობისაგან დამტკიცებული, ზედ დახატული, თუ არა და მოითხოვონ **ჩაი ვისოცკისა ხომალდით.**

გამგეობა ამხანაგობისა მოსკოვშია.

განყოფილებანი:

ოდესას, ვარშავას, როსტოვს-დონ., ეკატერინბურგს, ხარკოვს, ტფილისს, რიგას, ვილნოს და სიმფეროპოლში. აგრეთვე ნიჟეგოროდისა და ირბიტის ბაზრობაზედ.

ადრესი ამხანაგობისა მოსკოვსა და განყოფილებათათვის: „**Товарищество чайной торговли В. Высоцкій и К-°**“.

დეპეშებისათვის: „**Корабликъ**“.

ჩ ა ი მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ბ ა ნ დ ე რ ო ლ ი თ

მის იმპერატორობითის უმაღლესობის დიდის მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძ.ს კარის გაჭარი

მის უმაღლესობის სპარსეთის შაჰის კარის გაჭარი. [illegible] სპარსეთის ორდენით და ბევრ [illegible].

(20—2)

ს ა წ ე რ ი ქ ა ღ ა ლ დ ი ს

მოსკოვი 1882 წ. **დიტიატკოვის ამხანაგობა** ნოვოდგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტ ფ ი ლ ი ს შ ი.

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის სავაჭრო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: **Тифлисъ. Дитятковское Товарищество.**

ტელეფონი № 66. (30—5.—30)

ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს კ ო მ პ ა ნ ი ა

„ნ ა დ ე ჟ დ ა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

დ ა რ ს ე ბ უ ლ ი ა **1847** წ ე ლ ს

მარითადა თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664.808 მან.

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით და არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში. მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განთვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—2)

„ც ო დ ნ ა“

ახლად დაარსებული ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება. ყველა ქართული წიგნები და ქართულ-რუსული სახელმძღვანელონი სასმარებელნი სამრევლო და სამინისტრო სკოლებში. აგრეთვე მაღაზია ჰყიდის და ყიდულობს ძველს და ნახმარს წიგნებს დაკლებულ ფასად.

საგანი „ცოდნის“ მაღაზიისა—გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასათვის ხელ-მისაწდომ გამოცემათა.

მსურველთ წიგნები ეგზავნება ქაღაქ-გარედაც **ფას-დადებით.**

დაუყოვნებლივ ვასრულებთ ყოველგვარ შეკვეთას, როგორც ქალაქის აგრეთვე პროვინციის მცხოვრებლებისას.

იქვე მიიღება ხელის მოწერა ყოველ ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე.

ადრესი: **Тифлисъ, Книжный магазинъ „ЦОДНА“.**

წიგნის მაღაზიის პატრონი და მმართველი სოსიკო მერკვილაძე.

Дозволено цензурою Тифлисъ 8 ноября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ домъ армяно-рус семинаріи

დროებითი რედაქტორი ვ. ყიფშიძე. გამომცემელი ა. ხარაჯიშვილი.